



Agreement on providing Educational Services

Tbilisi

_____ 2022

Parties:

Higher Education Institute LTD European University
Represented by the Rector,

and

The Student

/ Name Surname/ID number

In accordance with the applicable legislation of Georgia and the conditions set forth in the Legal Acts of the LTD European University, this Agreement is hereby:

Article 1. The subject of the agreement

1.1. This Agreement regulates the organizational and financial relationships between "European University" and "A Student" during the studying period of the "Student" at the "University".

1.2. In accordance with the agreement the student is entitled to fully and properly receive educational services from the university and takes the liability to pay the fee of the educational services during the period of the agreement (hereinafter - the "educational service fee") under the terms and amount defined by this agreement, and the university, in turn, undertakes the liability to fully and properly provide students with educational services and require them a full and proper fulfillment of obligations set by the Agreement.

1.3. Academic activities of the student at university are regulated by the requirements of the legislation of Georgia, legal acts of the LTD European University and by the requirements of the educational program on which the student is entitled to study.

Article 2. The rights of the parties

2.1. „A Student“ is entitled to:

Enjoy all the rights of a student, established by the Law of Georgia on Higher Education and its subordinate acts, including:

2.1.1. To receive high quality educational services to the extent provided by the educational program;

2.1.2. To participate in the development of an individual curriculum;

2.1.3. To participate in scientific-research activities;

2.1.4. To demand a fair assessment of knowledge;

2.1.5. Independently evaluate the study process and other services offered by the University;

- 2.1.6. Periodically evaluate academic / invited personnel;
- 2.1.7. Freely express his / her opinion and / or refuse to share ideas that are not acceptable to him / her during the learning process;
- 2.1.8. To join student and other community organizations within or beyond the university;
- 2.1.9. To use the material-technical, library, informational and other facilities of the University in equal terms;
- 2.1.10. To receive all kinds of information available at the University in accordance with the forms and terms set by the legislation;
- 2.1.11. To appeal the results of the exams within the time frame set by the relevant legal act of the University;
- 2.1.12. To appeal the action of the academic or administrative personnel of the University if he /she considers that it violates their rights and interests;
- 2.1.13. To receive information about University activities in accordance with the rule established by the legislation of Georgia.

2.2 „A Student“ is obliged to:

- 2.2.1. Get familiar with and strictly adhere to the requirements envisaged by the legislation of Georgia and the legal acts of the University;
- 2.2.2. Study all the disciplines of the university educational program, participate in the activities of the educational program, in compliance with the requirements of the respective program;
- 2.2.3. Adhere to the ethics norms set out in the Code of Ethics and Disciplinary Responsibility of European University;
- 2.2.4 Pay tuition fees in accordance with the amount and terms set forth in the agreement;
- 2.2.5. Timely appear at the exams and registered courses according to a university-approved schedule. If the student fails to appear at the exam specified in the schedule, the student is obliged to submit a written document proving the good reason of absence, otherwise the person will not be allowed to retake the exam.

2.3 The University is entitled to:

- 2.3.1 Plan the learning process, in accordance with the educational program, to determine the time limits of academic activities;
Determine the rules for student learning activities, ethics and disciplinary responsibility, obtaining, suspending and terminating student status, and other terms for organizing educational process at the University in accordance with the requirements of applicable legislation;
- 2.3.2. Request the student to respect the dignity and prestige of the University;
- 2.3.3. Request the student to pay the educational service fee in the manner and amount provided by the agreement.

2.4 The University is obliged to:

- 2.4.1. Provide educational services in accordance with the educational program for the period of time specified by the law for the student of the relevant level.
- 2.4.2. Ensure unchanged tuition fee for the studying period, set for the student at the relevant level.
- 2.4.3. Do not discriminate a student on the basis of race, color, sex, origin, ethnicity, language, religion, political

or other beliefs, social affiliation, property or title, place of residence or any other mark.

2.4.4. Ensure keeping personal information of the student in accordance with the applicable legislation of Georgia;

2.4.5. Promote the unhindered realization of student's rights set by the Legislation of Georgia and legal acts of the University, take care of the development of the university academic environment.

Article 3. Educational service fee

3.1. In accordance with the represented agreement, the fee for the educational service provided by agreement of the parties is defined by 5000 dollars (equivalent in GEL by the national bank exchange rate for the date of payment) for each year of study, during the period of **Medical Doctor Program**, set by the legislation (6 years).

3.2. Tuition fees are paid twice a year,

I part	2500 Dollar	Prior to the Fall semester of the relevant academic year (prior to academic registration)
II part	2500 Dollar	Prior to the Spring semester of the relevant academic year (prior to academic registration)

3.3. The annual cost of educational services includes the possibility of a student completing 30 credits in each semester during the 2 (Fall and Spring) semesters, according to the requirements of the relevant educational program.

3.4. In case of retaking the course the student is obliged to pay the tuition fee; The fee is determined by the number of credits awarded for the educational course.

3.5. The parties are entitled to agree on a different payment schedule of tuition fees. The Agreement must be confirmed by both Parties and enclosed to this Agreement as an appendix.

3.6. The procedure for payment of tuition fees provided for in this article shall not be applied if the student receives state funding under a grant through a state-educational, social, or other program. In this case, the student is obliged to submit the information about the grant to the University prior to the tuition fee payment period. In the case of partial funding of the tuition fee, the procedure for payment of tuition fees provided for in this article shall apply in proportion to the amount to be paid by the student.

3.7. In accordance with current legislation, if a student's application for a study visa is not granted (except in case when it is possible to re-submit the document after the defect/gap is corrected) and he/she applies to the university to terminate the student's status, then he/she will be withheld 20% from the amount (up to provision of educational services) paid for education in advance.

In this case, to the application for termination of student's status, he must attach the decision of the relevant authority "About refusal to issue a visa."

3.8. In the event when a student, after signing an agreement on educational services and after paying for tuition, applies to the university with an application and demands termination of student's status (except as provided for

in paragraph 3.7 of this article), he/she will be withheld 80% of the tuition fee for one academic semester paid for education in advance.

3.9. After passing the academic registration, in case of suspension or termination of student's status, the university is authorized not to refund the paid fees for education. Cancellation of a registered subject¹ by a student and / or suspension of student's status, in case of restoration of student's status, does not release him/her from financial obligations arising between university and a student.

Article 4. Entry into force and Term of Validity

4.1. This Agreement shall enter into force upon the student obtains the status of European University Student and is valid for studying period at **Medical Doctor program MD** at the European University.

4.2. The terms for obtaining student status, suspending / restoring student status and termination of student status shall be determined in accordance with the legislation of Georgia and legal acts of the University. The Legal Acts of the University regarding the obtaining, suspension, restoration and termination of the student status shall be issued and introduced to the student.

4.3. In the event of student status being terminated, the parties are exempt from the rights and obligations under this Agreement. This does not exempt the parties from fulfilling their obligations arising before the suspension of their status.

4.4. In case of termination of the student's status, the parties are obliged to fully fulfill their obligations arising before the termination of the status.

Article 5. Review and settlement of disputes

5.1. Disputes between the parties shall be settled in accordance with the applicable legislation;

5.2. Any issue, which is not regulated by this Agreement, can be settled through mutual negotiations;

5.3. If the agreement has not been reached between the parties, each party has the right to apply to the court in accordance with the procedure established by the legislation of Georgia.

Article 6. Other conditions

6.1. Issues related to the relations between the parties not considered by this Agreement shall be regulated by the Law of Georgia on "Higher Education" and by its subordinate acts, the Civil Code of Georgia and other relevant norms of the Legislation of Georgia.

6.2 The "Rules governing the educational process" approved by the legal act of the University Rector are an integral part of this agreement.

6.3 The agreement is made up of two copies of equal legal force.

Each copy will be transferred to each party participating in the agreement.

The Agreement is signed to confirm that parties have agreed on its terms by:

¹ Is caused as a result of suspension, termination of student's status, cancellation of registration on any specific subject.

<p>LTD European University</p> <p>Rector Nino Taliashvili</p> <p>Signature</p> <hr/>
--

<p>Student</p> <p>Name, Surname</p> <hr/> <p>Passport N</p> <hr/> <p>Signature</p> <hr/>
--



ხელშეკრულება საგანმანათლებლო
მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი

-----2022 წელი

მხარეები:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

შპს ევროპის უნივერსიტეტი

წარმოდგენილი რექტორის ნინო ტალიაშვილის სახით

და

სტუდენტი

/სახელი გვარი / პირადი ნომერი /

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შპს ევროპის უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება აწესრიგებს „ევროპის უნივერსიტეტსა და „სტუდენტს“ შორის წარმოშობილ ორგანიზაციული და ფინანსური სახის ურთიერთობებს, „სტუდენტის“ „უნივერსიტეტში“ სწავლის პერიოდის განმავლობაში.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით სტუდენტი უფლებამოსილია, სრულად და ჯეროვნად მიიღოს

უნივერსიტეტისგან საგანმანათლებლო მომსახურება და ვალდებულებას კისრულობს გადაუხადოს უნივერსიტეტს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასური (შემდგომში - „საგანმანათლებლო მომსახურების საფასური“) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით, ხოლო უნივერსიტეტი, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, სრულად და ჯეროვნად გაუწიოს სტუდენტს საგანმანათლებლო მომსახურება და მოსთხოვოს მას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

1.3. სტუდენტის აკადემიური საქმიანობა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის, შპს ევროპის უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა და იმ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებით, რომელზედაც სწავლის უფლებას მოიპოვებს სტუდენტი.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები

2.1. „სტუდენტი“ უფლებამოსილია

ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით დაწესებული სტუდენტის ყველა უფლებით, მათ შორის, უფლებებით:

- 2.1.1. მიიღოს ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოცულობით;
- 2.1.2. მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- 2.1.3. მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- 2.1.4. მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
- 2.1.5. დამოუკიდებლად შეაფასოს სასწავლო პროცესი და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისები;
- 2.1.6. პერიოდულად მოახდინოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება;
- 2.1.7. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი ან/და უარი თქვას მისთვის მიუღებელი იდეების გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- 2.1.8. გაწევრიანდეს სტუდენტურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, უნივერსიტეტის ფარგლებში თუ მის გარეთ;
- 2.1.9. თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 2.1.10. მიიღოს უნივერსიტეტში მასზე არსებული ყველა სახის ინფორმაცია კანონმდებლობით და დადგენილი წესით, ფორმითა და ვადებში;
- 2.1.11. გაასაჩივროს გამოცდებზე მიღებული შეფასების შედეგები უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში;
- 2.1.12. გაასაჩივროს უნივერსიტეტის აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალის ქმედება თუ თვლის, რომ ამ ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები;
- 2.1.13. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ.

2.2. „სტუდენტი“ ვალდებულია

2.2.1. გაეცნოს და განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

2.2.2. ისწავლოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო დისციპლინა, შესაბამისი პროგრამის მოთხოვნების დაცვით, მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში;

2.2.3. დაიცვას ევროპის უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსით განსაზღვრული ეთიკის ნორმები;

2.2.4. გადაიხადოს სწავლის საფასური ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და პირობებით;

2.2.5. დროულად გამოცხადდეს გამოცდებზე და დარეგისტრირებულ სასწავლო კურსებზე უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ცხრილის შესაბამისად. ცხრილით განსაზღვრულ გამოცდაზე არ გამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს გაცდენის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი არ დაიშვება გამოცდის აღდგენაზე.

2.3 უნივერსიტეტი უფლებამოსილია

2.3.1. დაგეგმოს სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, განსაზღვროს აკადემიური აქტივობების ვადები;

განსაზღვროს სტუდენტის სასწავლო საქმიანობის, ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზების სხვა წესები, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;

2.3.2. მოსთხოვოს სტუდენტს უნივერსიტეტის ღირსებისა და პრესტიჟის დაცვა;

2.3.3. მოსთხოვოს სტუდენტს გადაიხადოს საგანმანათლებლო მომსახურების საფასური ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

2.4 უნივერსიტეტი ვალდებულია

2.4.1. უზრუნველყოს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის მიერ შესაბამის საფეხურზე სწავლის კანონმდებლობით დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

2.4.2. უზრუნველყოს უცვლელი სწავლის საფასური, სტუდენტის მიერ შესაბამის საფეხურზე სწავლის კანონმდებლობით დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

2.4.3. არ დაუშვას სტუდენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2.4.4. უზრუნველყოს სტუდენტის პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.4.5. ხელი შეუწყოს სტუდენტს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის

სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების შეუფერხებლად რეალიზებას, იზრუნოს საუნივერსიტეტო აკადემიური გარემოს განვითარებაზე.

მუხლი 3. საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის საფასური

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამად - უნივერსიტეტის მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების ღირებულება მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულია 5000 (ხუთი ათასი) დოლარით (ექვივალენტი ლარში გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად) თითოეული სასწავლო წლისათვის, **დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის** კანონმდებლობით დადგენილი ხანგრძლივობის პერიოდის (6 წელი) განმავლობაში.

3.2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება წელიწადში 2 ჯერ,

I ნაწილი	2500 დოლარი	შესაბამისი სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე (აკადემიური რეგისტრაციის გავლამდე)
II ნაწილი	2500 დოლარი	შესაბამისი სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე (აკადემიური რეგისტრაციის გავლამდე)

3.3. საგანმანათლებლო მომსახურების წლიური ღირებულება მოიცავს სტუდენტის მიერ 2 (შემოდგომისა და გაზაფხულის) სასწავლო სემესტრის განმავლობაში თითოეულ სემესტრში 30 კრედიტის გავლის შესაძლებლობას, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

3.4. სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენის საფასური; საფასური განისაზღვრება საგანმანათლებლო სასწავლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

3.5. მხარეები უფლებამოსილი არიან შეთანხმდნენ სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე. შეთანხმება აუცილებელია დადასტურებული იყოს ორივე მხარის მიერ და დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას.

3.6. აღნიშნული მუხლით დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის წესი არ გამოიყენება, თუკი სტუდენტი მოიპოვებს სახელმწიფო დაფინანსებას სახელმწიფო-სასწავლო, სოციალური ან სხვა პროგრამით გაცემული გრანტის ფარგლებში. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია სწავლის საფასურის გადახდის პერიოდის დადგომამდე წარუდგინოს უნივერსიტეტს ინფორმაცია გრანტის თაობაზე. გრანტით სწავლის საფასურის ნაწილობრივად დაფინანსების შემთხვევაში, ამ მუხლით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის წესი გამოიყენება სტუდენტის მიერ გადასახდელი თანხის პროპორციულად.

3.7. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ სასწავლო ვიზის მიღებაზე არ დაკმაყოფილდა სტუდენტის განაცხადი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია დოკუმენტაციის

განმეორებით შეტანა დადგენილი ხარვეზის გამოსწორების შემდეგ) და ის უნივერსიტეტს მიმართავს განცხადებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, მას დაუკავდება წინასწარ (საგანმანათლებლო მომსახურების გაწევამდე) გადახდილი სწავლის საფასურიდან თანხის 20%.

აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტმა სტატუსის შეწყვეტის შესახებ განაცხადს თან უნდა დაურთოს „ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“ შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილება.

3.8. იმ შემთხვევაში თუ, სტუდენტი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა და სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ უნივერსიტეტს მიმართავს განცხადებით და მოითხოვს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას (გარდა ამ მუხლის 3.7. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მას დაუკავდება წინასწარ გადახდილი ერთი სასწავლო სემესტრის სწავლის საფასურიდან თანხის 80%.

3.9. აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ, სტუდენტის მიერ სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია არ დააბრუნოს გადახდილი სწავლის საფასური. სტუდენტის მიერ რეგისტრირებული საგნის გაუქმება² ან/და სტატუსის შეჩერება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში არ ათავისუფლებს უნივერსიტეტსა და მას შორის წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებებისაგან.

მუხლი 4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის „სტუდენტის“ მიერ „ევროპის უნივერსიტეტის“ სტუდენტის სტატუსის მოპოვების

დღიდან და მოქმედებს სტუდენტის მიერ ევროპის უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდის განმავლობაში.

² გამოწვეულია სტუდენტის სტატუსის შეჩერებით, სტატუსის შეწყვეტით, კონკრეტულ საგანზე რეგისტრაციის გაუქმებით.

4.2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტუდენტის სტატუსის შეჩერება-აღდგენისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სტუდენტისათვის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის თაობაზე გამოიცემა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტი, რომელიც ეცნობება სტუდენტს.

4.3. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისგან. აღნიშნული არ ათავისუფლებს მხარეებს სტატუსის შეჩერებამდე წარმოშობილი ვალდებულების შესრულებისგან.

4.4. სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან, სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

მუხლი 5. დავის განხილვა და გადაწყვეტა

5.1. მხარეთა შორის დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით;

5.3. თუკი მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს ხელშეკრულება, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის სხვა შესაბამისი ნორმებით.

6.2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს.

წინამდებარე ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად ხელშეკრულებას ხელს აწერენ:

შპს ევროპის უნივერსიტეტი

რექტორი ნინო ტალიაშვილი

ხელმოწერა

სტუდენტი

სახელი, გვარი

პასპორტის ნომერი

ხელმოწერა
